რაში დაგეხმარებათ ელექტრონული მომსახურების სერვისი?

ელექტრონული მომსახურების სერვისით სარგებლობის შემთხვევაში, თქვენ საშუალება გეძლევათ სასურველი მომსახურება მიიღოთ შემოსავლების სასამხურში პირადი ვიზიტის გარეშე, რაც დაგეხმარებათ თქვენი დროის დაზოგვაში, საკითხის მოგვარებასა და ბიზნესის უკეთ წარმართვაში.

რა მომსახურებით შეგიძლიათ ისარგებლოთ www.rs.ge-ის საშუალებით?

- შემოსავლების სამსახურთან ელექტრონული მიმოწერა, ნებისმიერი კითხვის დასმა და ინფორმაციის მიღება;
- ელექტრონული მომსახურების მომხმარებლად რეგისტრაცია;
- წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის რეგისტრაცია;
- განცხადების გაგზავნა;
- ელექრონულად დარეგისტრირებული განაცხადის საფუძველზე ნებართვებისა და სერთიფიკატების მიღება;
- დარეგისტრირებული განაცხადის მოძიება და შესრულების პროცესის კონტროლი;
- კორესპონდენციის ელექტრონულად მიღება და მართვა;
- საგადასახადო დეკლარაციების წარდგენა, წარდგენილი დეკლარაციების დათვალიერება და ამობეჭდვა;
- ელექტრონულად ანგარიშ-ფაქტურების დათვალიერება და ამობეჭდვა;
- ნებისმიერ დროს გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათისა და ბიუჯეტთან ანგარიშწორების აქტის დათვალიერება;
- საქართველოს ინტეგრირებული ტარიფის შესახებ ინფორმაციის მიღება, რაც გადამხდელს აწვდის ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვებისა და შეზღუდვების შესახებ, იმპორტის გადასახდელების განაკვეთებისა ან/და შეღავათების თაობაზე, რომლებიც გამოიყენება

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურაში მოცემული საქონლის მიმართ;

- წარდგენილი დეკლარაციებით დეკლარირებული, დარიცხული გადასახადების ელექტრონულად გადახდა;
- საგადასახადო კოდექსის მუხლების ვიდეო განმარტებების ნახვა.

რა უპირატესობები აქვს ელექტრონული მომსახურების სერვისს?

- სასურველი ინფორმაციისა და თქვენს კითხვებზე პასუხის მისაღებად შეგიძლიათ აღარ მიბრძანდეთ შემოსავლების სამსახურის სერვის-ცენტრებში.
  www.rs.ge-ს საშუალებით შესაძლებლობა გეძლევათ ნებისმიერ დროს მიმართოთ შეკითხვით შემოსავლების სამსახურს და სახლიდან გაუსვლელად მიიღოთ სასურველი ინფორმაცია ან განახორციელოთ სასურველი პროცედურა ელ. ფოსტის გამოყენებით: info@rs.ge

- **ელექტრონული გადახდები** - თუ სარგებლობთ განცხადების განხილვის დაჩქარებული მომსახურებით, თქვენ არჩეული დღეების რაოდენობის მიხედვით საჭიროა გადაიხადოთ დაწესებული საფასური, ამისათვის www. rs.ge საშუალებას იძლევა გადახდები განახორციელოთ ელექტრონულად, ბანკში მისვლის გარეშე. გარდა ამისა, საშუალება გაქვთ, განახორციელოთ დეკლარირებული, დარიცხული გადასახადების და საფოსტო გზავნილების გაფორმების გადასახადის ელექტრონულად გადახდა.

- **ჩემი გვერდი** - www. rs.ge გთავაზობთ იქონიოთ საკუთარი გვერდი, სადაც თავმოყრილი იქნება თქვენს მიერ დარეგისტრირებული ყველა განცხადება. განცხადების რეგისტრაციისას მიღებული მესიჯის საფუძველზე, რომელიც შეგატყობინებთ განცხადების დარეგისტრირების თარიღსა და ნომერს, შეგიძლიათ აკონტროლოთ გაგზავნილი წერილის განხილვის სტადიები. გარდა ამისა, განხილვის დასრულებისთანავე, გეგზავნებათ მოკლე ტექსტური შეტყობინება, ხოლო პასუხი იგზავნება თქვენს ელექტრონულ ფოსტაზე.

- **ელექტრონული დეკლარირება** - თქვენ საშუალება გეძლევათ ელექტრონულად გამოწეროთ ანგარიშ-ფაქტურები, ელექტრონულად მოახდინოთ ანგარიშ-ფაქტურის მიღების დადასტურება, ელექტრონულად შეავსოთ და გადააგზავნოთ დეკლარაციები. დეკლარაციის გადაგზავნისას გეგზავნებათ მოკლე ტექსტური შეტყობინება ჩაბარების დასტურის შესახებ. ელექტრონული დეკლარირების გვერდი საშუალებას იძლევა ნებისმიერ დროს აკონტროლოთ თქვენი პირადი აღრიცხვის ბარათები და შედარების აქტი, რაც აიოლებს გადამხდელსა და შემოსავლების სამსახურს შორის ურთიერთობას.

როგორ უნდა ისარგებლოთ ელექტრონულიომსახურებით?

ელექტრონული მომსახურებით სარგებლობისათვის საჭიროა შემოსავლების სამსახურში ერთჯერადად ავტორიზაციის გავლა, რის საფუძველზეც თითოეულ გადამხდელს ენიჭება სისტემაში შესვლის ინდივიდულაური დაცული პაროლი. ამასთანავე, ელექტრონული მომსახურებით სარგებლობა არ ზღუდავს მომსახურების პირადად მიღებას და თქვენ ყოველთვის სიამოვნებით მოგემსახურებიან შემოსავლების სამსახურის სერვისცენტრები მთელი ქვეყნის მასშტაბით და შეეცდებიან თქვენვის მაქსიმალური კომფორტის შექმნას.